საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების პოტენციალი
საქართველო აზერბიჯანული ენერგეტიკული რესურსების ტრადიციული სატრანზიტო ქვეყანა

ლიანა ჯერვალიძე
ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებზე
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
2008 წლის ივნისი

შესავალი

საქარველო ენერგეტიკული რესურსებით უმდიდრეს რეგიონში მდებარეობს. კასპიის რეგიონის რესურსები თავისი რაოდენობითა და მნიშვნელობით მეორეა მსოფლიოში. აზერბაიჯანში ნავთობი და გაზი უხსოვარი დროიდან ამოდიოდა დედამიწის ზედაპირზე, ზოგჯერ ზედაპირზე ამოსულ რესურსს ბუნებრივად ეკიდებოდა ცეცხლი, რის ახსნაც იმდროინდელ მეცნიერებას არ შეეძლო. ამიტომ ამ აუხსნელმა ფენომენმა საფუძველი ჩაუყარა ცეცხლთაყვანისმცემლობას, რომელიც გავრცელებული რელიგია იყო მთელს ირანსა და სამხრეთ კასპიისპირეთში ვიდრე მაჰმდიანობის მიღებამდე VII საუკუნეში.

გარდა აზერბაიჯანისა საქართველოს უახლოეს სამეზობლოში ნავთობი და გაზი მოიპოვება რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიურ ჩეჩნეთში და მაიკოპში XIX ბოლოდან ვიდრე დღემდე. არსებობს ვარაუდი, რომ ნავთობის და გაზის ბუდობები არის ლეკეთში და კალმიკეთში, თუმცა იქ მოპოვება ჯერ არ მიმდინარეობს. ბოლო პერიოდში ენერგეტიკული რესურსების თვალსაზრით განსაკუთრებულ ყუდადღებას იქცევს შავი ზღვის აუზი, სადაც რუმინეთი და უკრაინა უკვე აწარმოებს მოპოვებას, თურქეთი კი საძიებო სამუშაოებს აწარმოებს, რისთვისაც სპეციალურად მოიწვია ბრაზილიური კომპანია "პეტრობრასი" რომელსაც ბრაზილიის საზღვაო აკვატორიის ღრმა წყლებში საძიებო სამუშაობის და მოპოვების მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს.

ვარაუდები საქართველოში ნავთობისა და გაზის ბუდობების არსებობის შესახებ დიდი ხანია არსებობს. ამ ვარაუდებს საფუძველს უმაგრებს ნავთობისა და გაზის მრავალრიცხოვანი გამოსავლები, რომლებიც მიმოფანტულია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. საქართვეოლოში ნავთობის მაქსიმალური მოპოვება დაფიქსირდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. 2007 წელს საქართველოში მოპოვებული იქნა 55-60 ათასი ტონა ნავთობი,რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია ქვეყნისათვის, რომელიც წლიურად 750 ათას ტონა ნავტობპროდუქტს მოიხმარს.

საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის საძიებო სამუშაოებს აწარმოებს სამი დასავლური კომპანია ფრონტერა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კანარგო ცენტრალურ ნაწილში და ანადარკო ზღვის აკვატორიაზე. ჯერჯერობით დიდი ნავთობის და გაზის ბუდობი აღმოჩენილი არ არის თუმცა არსებობს მოლოდინი, რომ საქართველოს შავი ზღვის შელფზე მნიშვნელოვანი რესურსი უნდა არსებობდეს.

საქართველოში ნავთობის და გაზის საძიებო სამუშაოები XIX ბოლოდან დაიწყო და სამ პერიოდად იყოფა:

- XIX- მეორე ნახევრიდან ბოლშევიკური ხელისუფლების ახალი ენერგეტიკული პოლიტიკს ჩათვლით (1929 წელი);

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

- საბჭოთა პერიოდი 1929 – 1990
- საქართველოს დამოუკიდებლობიდან დღემდე

ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოები საქართველოში XIX- მეორე ნახევრიდან ვიდრე "ნეპ"-ამდე (1929 წლამდე)

ამ პერიოდში ნავთობის მოპოვების სამუშაოები მიმდინარეობდა დედამიწის ზედაპირის ახლოს, დღევანდელთან შედარებით პრიმიტიული დანადგარებით. რის გამოც შეუძლებელი იყო ჭაბურღილიდან დიდ წნევით წამოსული ნავთობის ნაკადის გამკლავება.

ბაქო-თბილისის ღერძზე ნავტობის საძიებო სამუშაოები პირველად ცნობილმა გერმანელმა ინდუსტრიალისტებმა ძმებმა სიმენსებმა წამოიწყეს. ისინი ელიზავეტპოლში (დღევანდელი განჯა) 1860-იანი წლების ბოლოს ელექტროობის და ტელეგრაფის სისტემების შექმნის მიზნით ჩამოვიდნენ. ამავე დროს მათ 180 ჭა გაბურღეს შირაქის ველზე და მიმდებარე ტერიტორიებზე. ზოგიერთ ადგილზე მათი ძიება წარმატებით დასრულდა და უკვე 1876 წლისათვის 2.1 მილიონ ლიტრ ნავთობს აწარმოებდნენ და ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე და თბილისში ყიდიდნენ. ძმებიდან ერთ-ერთი ვერნერ სიმენსი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ნავთობის მოპოვებით და ბევრი ჭაბურღილი გათხარა წითელ წყაროში, მირზაანში და ქვემო ხევსურეთსა და ქვემო თუშეთშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ ძმებმა სიმენსებმა საქართველოში მცირე ბაქოსთან შედარებით მაგრამ მაინც საქართველოში ნავთობის მოპოვებით მნიშვნელოვანი ფინანსური სიკეთე სახეს, მათ კახეთის და ქვემო მთისპირეთის საბადოების გეოლოგიური რუკა არ შეუქმნიათ.

XIX- საუკუნის ბოლოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა კახეთის ნავთობის რესურსების ათვისება. 1896 წელს ორმა ევროპელმა გეოლოგმა ბრიტანელმა თაუნსენდმა და გერმანელმა შტალმა აღმოაჩინეს ნავთობის მარაგები მდინარე რიყისა და კრინტს-ქლივიანი ხევის აუზებში. ეს საბადო განთავსებული იყო 75 ფუტის სიღრმეზე და მსუბუქ ნავთობს შეიცავდა. ათიოდე წლის შემდეგ გალიციელმა გეოლოგმა მაკმა (Muck) ბოჭორმის მიდმოებში რამდენიმე ჭაბურღილი გათხარა და მაღალ წნევიანი ნავთობის რეზერვუარები აღმოაჩინა დაახლეობით 1 000 ფუტის სიღრმეზე.

ახმეტის რაიონის ზემოთ, სოფელ ვეძების ტერიტორიის მახლობლად ტყეში დღესაც არსებობს დალუქული ჭაბურღილი, საიდანაც ბელგიური ჯგუფი ნავთობს მოიპოვებდა ბოლშევიკების ხელისუფლების საწყის ეტაპზე, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში ვიდრე 1929 წლამდე. ბელგიელები ნავთობს ტიკებში ასხავდნენ და ჯორებით ჩამოჰქონდათ ვაკეზე.

XIX – საუკუნის ბოლოს ვიდრე 30-იან წლებამდე ნავთობის მოპოვება მიდიოდა დედამიწის ზედაპირთან ახლოს პრიმიტიული ტექნოლოგიებით. ასეთი ტექნოლოგიებით საქართველოში ნავთობის დიდი ბუდობების აღმოჩენა ვერ მოხერხდა. მცირე რესურსების მოპოვებით კი სერიოზული ფინანსური რესურსების მქონე ადამიანები და კომპანიები არ ინტერესდებოდნენ. მათ ერჩივნათ ისევ ბაქოში ჩაედოთ თავისი კაპიტალი ვიდრე საქართველოში, სადაც ადგილობრივი ფერმერები ნავთობის მოპოვების წინააღმდეგნი იყვნენ იმის შიშით, რომ მათი მიწები დაბინძურების შედეგად მიწათმოქმედებისთვის გამუსადეგარი გახდებოდა.

ქართველი მიწათმოქმედების ასეთ სკეპტიციზმს ნავთობის მოპოვების მიმართ სრულიად კონკრეტული ფაქტები ამყარებდა. მაგ. 1877 წელს გარუსებულმა ძმებმა

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ორბელიანებმა[1], რომლებიც ბაქოში ნავთობის მოპოვებით თავს იქცევდნენ, გათხარეს ჭაბურღილი, რომლიდანაც ნავთობი ისეთი სიძლიერით წამოვიდა, რომ ძმებმა მათ ხელთ არსებული ყველა რეზერვუარი, მათი მეზობლების რეზერვუარებიც აავსეს და მაინიც 2 მილიონი ჰექტოლიტრი ჩაიღვარა მიწაში და მოსავლისათვის სრულიად გამოუსადეგარი გახადა. იმავე ძმებმა 1881 წელს ისევ აღმოაჩინეს ნავთობის ბუდობი ზედაპირთან ახლოს, საიდანაც ნავთობი ისეთი სიძლიერით წამოვიდა, რომ 180 000 ჰექტოლიტრმა ნავთობმა ერთი კვირის განმავლობაში დატბორა მთელი არე-მარე. გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც იმსხვერპლა არა მარტო მათი, არამედ მათი მეზობლების მომპოვებელი მოწყობილობები. საზოგადოების ზეწოლის გამო ძმები ორბელიანები იძულებული გახდნენ თავად ჭაბურღილისთვის გაეჩინათ ცეცხლი. ასეთი მწარე გამოცდილების არსებობა მეზობელ ქვეყანაში ქართველი ფერმერებს სიფრთხილის სერიოზულ საფუძველს აძლევდა.

ამგვარად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ბაქოს ნავთობის ბუმის პირველ პერიოდში საქართველოში ნავთობის მოპოვება ვერ განვითარდა ვინაიდან ვერ იქნა აღმოჩენილი ისეთი დიდი ბუდობი ისეთ სიღრმეზე, რომლიხ მოპოვებაც ეკონომიკურად გამართლებული იქნებდა (განსაკუთრებით ბაქოს ნავთობის ფონზე). მეორე მხრივ საქართველოში ნავთობის მოპოვებას სერიოზულად ეწინააღმდეგებოდნენ ადგილობრივი ფერმერები.

საქართველოში ნავთობის და გაზის საძიებო და მოპოვებითი სამუშაოები საბჭოთა პერიოდი

ქართველი გეოლოგების საერთო შეფასებით საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების პოტენციალის შესწავლა მოხდა საბჭოთა პერიოდში. გაითხარა 1300-ზე მეტი ღრმა (3700 მეტრის სიღრმის) ჭაბურღილი, აღმოჩენილი იქნა ძირითადად მცირე ზომის საბადოები. 40-იან წლებში აღმოაცინეს და ომის პერიოდსი მუშაობდა მირზაანის საბადო, რომელიც შირაქის ველზე მდეობარეობს და დღეს ამერიკული კომპანიას "ფრონტერას" სალიცენზიო ზონაშია მოქცეული.

საქართველოში აღმოჩენილ ნავთობის საბადოებს შორის ყველაზე დიდი იყო სამგორის საბადო. იგი აღმოაჩინეს 1974 წელს. გათვლების მიხედვით საბადო შეიცავდა 105 მილიონ ტონა ნავთობს, აქედან უკვე ამოღებულია 27 მილიონი ტონა, ანუ საერთო შემცველობის 25%. საქართველოში აღმოჩენილ საბადოებში ნავთობის საერთო რაოდენობის 30% ამოღება კარგ მაჩვენებლად ითვლება, თუმცა 40% ამოღებაც გამორიცხული არ არის.

სამგორის საბადოდან რესურსის 25% იუვე ამოღებულია და საბადო უკვე კლებაშია წასული. ამოღების მაქსიმალური მაჩვენებილი იყო 1980-1983 წლებში. ქართველი გეოლოგების აზრით თუ არსებული წყალწნევითი რეჟიმი შენარჩუნებული იქნა საბადო კლებით, მაგრამ მაინც იმუშავებს 25 წლის განმავლობაში.

ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოები 1996 წლისდან დღემდე[2]

დამოუკიდებლობიდან დღემდე საქართველიში ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია და სამი

[1] Oil and Gas in the Caucasus and the Caspian, Charles van der Leeuw

[2] წყარო: ინტერვიუ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ექსპერტთან სოსო ღუდუშაურთან

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

უცხოური კომპანია კომპანია: ამერიკული კომპანიები ფრონტერა, კანარგო და ანადარკო. საქართველოს ნავტ ბისა და გაზის კორპორაციის ძირითადი მოქმედი

საბადო არის იორის ველი და სამგორი. ამას გარდა კორპორაცია სახელმწიფოს სახელით მონაწილეობს ქვეყანაში მოქმედ უცხოურ კომპანიებთან პროდუქციის განაწილების შესახებ შეთანხმებებში.

შოტლანდიურმა კონმპანის "Ramco"- მ, (რომელმაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა აზერი –ჩირაგი - გიუნეშლის აზერბაიჯანულ საბადოზე საერთაშორისო კონსორციუმის ჩამოყალიბებას 1990-1994 წლებში), აწარმოა საძიებო სამუშაოები საქართველოს აღმოსავლეთ მთისპირეთში, ტუმცა მიღებული შედეგებით უკმაყოფილო დარჩა და მალევე დატოვა ქვეყანა.

ინდურმა კომპანია ლობალ Oil and Energy LTD –2008 წლის იანვარში შეიძინა ორი ბლოკი დასავლეთ საქართველოში. ამას გარდა სახმელეთო ბლოკებზე გამოცხადებულია ტენდერი, რომლის გამარჯვებულიც უნდა გაირკვეს 2008 წლის 14 ივლისამდე.

საქართვლეოში მომუშავე კომპანიებმა აწარმოეს საკმაოდ ღრმა გაბურღვები (4 000 მეტრამდე სიღრმეზე), გამოიყენეს ჰორიზონტალური გაბურღვის მეთოდი და რეზერვუარის D3 შესწავლა. თუმცა დღემდე საქართველოში დიდი ნავთობის ბუდობი არ აღმოუჩენიათ. ნავთობზე დაბალი ფასების პირობებში მცირე და საშუალო ბუდობების ათვისება კი კომერციულად საინტერესო არ იყო. დღეს საერთაშორისო ბაზარზე არსებული ფასები ხელსაყრელ პირობებს ქმნის საშუალო და მცირე ბუდობების ათვისებისთვიასაც თუ ასეთი აღმოჩნდა საქართველოში.

ფრონტერა[3] –არის ჰიუსტონში ბაზირებული ამერიკული კომპანია, რომელიც შეიქმნა 1996 წელს სპეციალურად ახალ ბაზრებზე სამუშაოდ. 1997 წელს ფრომტერამ საქართველოში შეიძინა კახეთის ბლოკი, რომელსაც XII ბლოკს უწოდებენ. ამ ბლოკში მთავარი საბადო არის ტარიბანას საბადო, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს 50-იან წლებში. ამ არეალში თავის დროზე საქმიანობდნენ ძმები სიმენსები. დღეს კომპანიის მთავარი საბადოებია ტარიბანა, საზარე ტბა, მწარე ხევი, ვაშლოვანი, ფხოველი, ალგეტი და ქედები.

მწარე ხევზე კომპანია მოიპოვებს მძიმე ნავთობს, ტარიბანაზე მსუბუქ ნავთობს, ნაზარლებზე საშუალოს. კომანიის მოპოვება წლიურად რამდენიმე ათას ტონას არ აღემატება. ამჟამად კომპანიის მთელი ყურადღება მიმართულია სავარაუდო ბუდობების გეოლოგიის შესწავლისაკენ. 2006 წელს კომპანიამ მოახდინა §100 მილიონის ინვესტირება, რამც საშუალება მისცა დაედგინა ნავთობის ორი ბუდობის საზღვრები, რომლებიც შესაძლიოა კომერციულად საინტერესო იყო მტკვრის აუზის ზედა და ქვემო ნაწილში.

კანარგო[4]
კანარგო არის დამოუკიდებელი ნავთობის და გაზის მწარმოებელი კომპანია, რომლის მთავარი ოპერაციები არის განთავსებული საქართველოში. კანარგო საქართველოში შემოვიდა 1997 წელს, იგი მუშაობს ნინოწმინდის, ნახვრევის, ნორიოს, რუსთავის და XIII ბლოკის საბადოებზე. ყველა ეს ბადო აღმოჩენილი იყო ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში. კომპანიის მთავარი მწარმოებელი საბადო

[3] ინფორმაცია კომპნიის ვებგვერდიდან აგრეთვე ინტერვიუ კომპანიის მთავარ გეოლოგთან არტემ სანიშვილთან
[4] ინფრმაცია კომპანიის ვერბგვერდიდან, აგრეთვე ინტერენეტიდან და

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ნინოწმინდა აღმოჩენილი იქნა 1979, იგი მდებარეობს 2 600 მეტრის სიღრმეზე. საბადოდან ამოღებულია 11,5 მილიონი ბარელი ნავთობი და 331 მილიონი კუბური მეტრი გაზი.

კომპანიამ გასულ წელს მოიპოვა 21 000 ტონა ნავთობი. მაქსიმალური მოპოვება ჰქონდა 2003 წელს – 92 000 ტონა, მას შემდეგ მოპოვება მკვეთრად შემცირდა. ნინოწმინდის საბადოზე ჯერ კიდევ არის გაზის ქუდი, რომელის რაოდენობა დაახლოებით 430 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. კანარგო ნინოწმინდის საბადოზე აწარმოებს გაზის მოპოვერბასაც, რაც წლიურად 70-80 ათას კუბურ მეტრს შეადგენს[5]. ეს გაზის მილსადენით საგარეჯოს მოსახლეობას მიეწოდება 1000 კუბური მეტრი $ 25 აშშ დოლარად, რაც ძალზე არარეალური ფასია. კომპანია მოსახლეობისათვის წლის ბოლომდე ფასის გაზრდას აპირებს.

კომპანია დიდ ემედებს ამყარებდა კუმისის ბუდობზე, სადაც გაზის მნიშვენელოვან რაოდენობის მიღებას ვარაუდობდა. 2006 წელს კომოპანიამ საგარანტიო ხელშეკრულებაც კი დადოსახელმწიფოსთან კუმისზე მოპვებული გაზის $43 დოლარად მიყიდვის შესახებ. პარალელურად გადაწყდა გაზსადენის მშენებლობა კუმისიდან გარდაბნის ბლოკებამდე. 2006 წელს კუმისზე დაიდგა ჭაბურღილი, რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგი არ ჩვენა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთი ჭაბურღილით რეზერვუარზე სრული ინფორმაციის მიღება რთულია, თუ არა შეუძლებელი.

კანარგოს მანავის ბლოკზე საძიებო სამუშაოები ჯერ არ დაუსრულებია. სავარაუდოდ მანავის ბლოკი ნავთობის საშუალო ბუდობს უნდა შეიცავდეს.

ანადარკო და საქართველოს ზღვის შელფი[6]

საქართველოს შავი ზღვის შელფზე ნავთობის და გაზის ბუდობების არსებობის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან არსებობს. შავი ზღვის აუზში გაზს მოიპოვებს უკარიანა და თურქეთი. რუსეთსა და უკრაინას შორის დავა წარმოიშვა ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით, კერჩთან მდებარე ბლოკებთან დაკავშირებით, რომლებზეც საძიებო სამუშაოებს რუსეთის აზრით არამართებულად აწარმეობს უკრაინა[7].

ეს ფაქტები აჩენს მოლოდინს იმ სამი რეზერვუარის მიმართ, რომლებიც ბათუმი / გურიის აკვატორიაში მდებარეობს და სადაც შესწავლას აწარმოებს ამერიკული კომპანია “Anadarco”. 2005 წელს ჩამოყალიბდა კონსორციუმი Anadarco (აშშ), BP(დიდი ბრიტანეთი),თ (თურქეთი) , Chevron (აშშ), და JKX-ის(დიდი ბრიტანეთი) მონაწილეობით[8]. გაიბურღა ერთი ჭაბურღილი, რომლის მონაცემებიც ზოგიერთი ცნობით არასწორად იქნა წაკითხული, რამაც ერთგვარი სკეპტიციზმი გააჩინა. მალე BP(დიდი ბრიტანეთი) კონსორციუმიდან გავიდა, რითაც მისი მუშაობა გარკვეულწილად შეფერხდა[9]. ნადარცო-ს ჩატარებული აქვს 3 შესწავლა, რაც რეზერვუარის მიმართ გარკვეულ იმედებს იძლევა.

---

[5] წყარო: ნავთობისა და გაზის კორპორაცია

[6] წყარო: ინტერვიუ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ექსპერტთან სოსო ღუდუშაურთან

[7] Bulletin de l”Industrie Petrolier, June 10 2008

[8] TPAO-ს ვებ-გვერდი

[9] BP-ს განმარტებით ბლოკზე სამუშაობი შეფერხებულია იმის გამო, რომ შავი ზღვის აუზში საძიებო სამუშაოები ინტენსიურად არ მიმდინარეობს. ცალკე აღებულ ნებისმიერ კომპანიას კი ღრმა წყლებში მომუშავე პლატფორმის დაქირავება ძალიან ძვირი დაუჯდება.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

თურქეთმა, რომელიც შავი ზღვის თავის აკვატორიაში მუშაობს პარტნიორად ბრაზილიური კომპანია "Petrobras" –ი შემოიყვანა. "Petrobras"-სს მექსიკის ყურესა და

ბრაზილიის ოფშორულ ზონის ღრმა წყლებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. სავარაუდოა, რომ თურქულმა კომპანია TPAO- მ "Petrobras"-ი პარტნიორად სწორედ ამის გამო აირჩია[10]. შავი ზღვის აუზში უკვე შეიქმნა "ღრმა წყლების პლატფორმის" კლუბი, რომლის წევრებიც მორიგეობით გამოიყენებენ პლატფორმას. ჯერჯერობით ნადარცო ამ კლუბის წევრი არ არის, თუმცა შეიძლება გახდეს. ეს მას საშუალებას მისცემს ღრმა წყლების პლატფორმის გამოყენებით თავისი შელფი უკეთესად შეიწავლოს.

ქართველ გეოლოგთა შეფასებით გუდაუთა – ოჩამჩირე შავი ზღვის შელფის სახმელეთო-საზღვაო რეზერვუარი ძალზე პერსპექტიულია, ამასთან ერთად შესწავლისა და მოპოვების თვალსაზრისით უფრო იოლიც, ვინაიდან ამ ადგილებში შავი ზღვა ღრმა არ არის. ამ ბლოკის ინტენსიურ შესწავლას აფერხებს აფხაზეთის კონფლიქტი.

საქართველო უძველესი სატრანზიტო ქვეყანა

ის ფაქტი, რომ საქართველოს რესურსების მიმართ დიდი ინტერესი არ იყო განპირობებული იყო სულ რამდენიმე ასეულ კოლომეტრში ბაქოს ნავთობისა და გაზის უზერმაზარი რესურსებით. ამ რესურსებისათვის საქართველო შუა საუკუნეებიდან დაწყებული ბუნებრივი სატრანზიტო გზა იყო.

ყველაზე ძველი დასავლური წყარო, რომელშიც საქართველო ბაქოს ნავთობის სატრანზიტო გზად არის მოხსენიებული დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბედ პირველის ეპოქას ეკუთვნის. 1580 წელს ინგლისელ ჯეფრი დეკეტს[11] (Geoffrey Decket) ბაქოში სავაჭრო სახლი გაუხსნია დიდი ბრიტანული სანვაჭრო სახლების ფინანსური და დედოფლის პოლიტიკური მხარდაჭერით.

მის ბიზნესს დიდი საფრთხე შეექმნა 1590 წელს, როდესაც ბაქო ოტომანთა იმპერიის სფეროში მოექცა. თუმცა ჯეფრი დეკეტმა მოახერხა სულთნისაგან ლიცენზიის მიღება და ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირება თბილისამდე, შემდეგ სამხრეთით ევფრატამდე, სიადანაც ის ბასრაში ჩაჰქონდათ. ნავთობის ტრანსპორტირება ხდებოდა ტიკებით, რომლებიც ჯორებს ან აქლემებს ჰქონდათ აკიდებული.

1600 წელს ბრიტანელი მისიონერი ჯონ კარტრაიტი აღწერს თუ როგორ გადეყარა 300-400 ჯორისგან შემდგარ ქარავანს, რომელსაც ამ გზით ნავთობი გადაჰქონდათ. ნავთობის ტრანსპორტირება ბაქოდან ხმელთაშუა ზღვისკენ თუ სპარსეთის ყურისკენ (მაშინ ისევე როგორც დღეს) დამოკიდებული იყო რეგიონში პოლიტიკურ სტაბილურობასა და სატრანზიტო გზების უსაფრთხოებაზე.

ჯეფრი დეკეტი პირველი დამოუკიდებელი მეწარმეა მსოფლიოს ისტორიაში, რომელიც ნავთობის ბიზნესით გამდიდრდა.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია მეფის რუსეთის დროს

[10] TPAO-ს ვებ-გვერდი
[11] Oil and Gas in the Caucasus and the Caspian, Charles van der Leeuw, p. 35

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ძმებ ნობელებს, რომლებიც ბაქოში 1860 წლიდან გამოჩნდენენ, ნავთობი კასპიის ზღვით ასტრახანში, იქედან კი რუსული რკინიგზით ევროპაში გაჰქონდათ. საქართველოს სატრანზიტო მიმართულებაზე გარღვევა მოხდა 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როდესაც გამარჯვებულმა რუსეთმა ბათუმი და ყარსი შემოიერთა. ბათუმი მეფის რუსეთმა თავისუფალ სავაჭრო ზონად გამოცხადა.

სწორედ ამ ფაქტმა განპირობა ბაქოს ნავთობის უფრო მოკლე გზით ბათუმისაკენ გადმოსროლა.

ბაქოს ნავთობის ევროპის და საერთაშორისო ბაზარზე გატანა საქართველოს გავლით დაკავშირებულია სამ დიდ ფინანსურ ჯგუფთან რომლებიც ბაქოს ნავთობის წარმოებას, ტრანსპორტირებას და კომერციალიზაციას კურირებდნენ. ესენი იყვნენ შვედი ძმები ნობელები, ევროპელი სარკინიგზო და ფინანსური მაგნატი როთშილდი და ბრიტანელი კომერსანტი მარკუს სამუელი, რომელსაც სავაჭრო სახლი ჰქონდა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში.

როთშილდები კავკასიაში 1879 წელს შემოვიდნენ და ტრანსკავკასიური რკინიგზა ააშენეს. რგინიგზა მწყობრში ჩადგა 1883[12] წელს და მაშინვე ნავთობის გადაზიდვით დაიტვირთა. ბთუმში როთშილდებმა დაარსეს ნავთობის სავაჭრო კომპანია BNITO. პასუხად ნობელებმა ბათუმში დაარსეს შავიზღვის ორთქლის ნავიგაციის და სავაჭრო კომპანია, რომელსაც ბაქოს ნავთობს არა მარტო ევროპის არამედ ბომბეის ბაზარზეც გაჰქონდა. ამ ორმა ჯგუფმა მოგვიანებით ევროპისა და აზიის ბაზარი გაიყო.

ბრიტანელმა კომერსანტმა მარკუს სამუელმა, რომელსაც სავაჭრო სახლი ჰქონდა ბრიტანეთსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ფარული გარიგება დადო როთშილდების სავაჭრო სახლთან ბათუმში ნავთობის სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში გატანის შესახებ. მიუხედავად სუეცის არხზე არსებული ნავიგაციის შეზღუდვებისა მან თავისი მეგობრების საშუალებით მოიპოვა ნავთობის ტანკერების არხით გატარების უფლება და ორმაგფსკერიანი საოკეანო ტანკერები შეუკვეთა. პირველი ასეთი ტანკერი ბათუმის პორტში 1892 წელს გამოჩნდა დაიტვირთა და სუეცის არხით ბაქოს ნავთობი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში გადატვირთა. მარკუს სამუელის პირველ ტანკერს Murex- ი ერქვა. აქამდე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში მხოლოდ როკფელების ნავთობი იყიდებოდა. ამგვარად ნობელებმა, როთშილდებმა და მარკუს სამუელმა ამრიკელ ნავთობის მაგნატს როკფელერს კონკურენცია შეუქმნეს არა მარტო ევეროპაში არამედ აზიის ბაზარზეც სადაც ის წლების განმავლობაში ერთპიროვნული ლიდერი იყო[13].

სატრანზიტო გზების გახსნამ ხელი შეუწყო ბაქოს ნავთობის მოპოვების გაზრდას. 1901 წელს ბაქოს ნავთობის მოპოვებამ 11.7 მილიონი ტონა შეადგინა და გაუსწრო ამერიკელი როკფელერის წარმოებას, რომელმაც 9.5 მილიონი ტონა შეადგინა. ამ დროს ბაქოში წარმოებული ნავთობის და ნავტობპროდუქტების 60% ტრანსკავკასიური რკინიგზით და ბათუმის პორტით გადიოდა როგორც ევროპაში ისე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. დანარჩენი 40% რუსეთსა და ირანში იყიდებოდა[14].

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირის შეკავების მიზნით შეიქმნა დასავლეთის სამხედრო პოლიტიკური გაერთიანება, რომელშიც 1952 წელს თურქეთი შევიდა. ამგვარად ნატოს წევრი ქვეყანა თურქეთი სულ რამდენიმე ასეულ

[12] Oil and Gas in the Caucasus and the Caspian, Charles van der Leeuw
[13] Oil and Gas in the Caucasus and the Caspian, Charles van der Leeuw
[14] Oil and Gas in the Caucasus and the Caspian, Charles van der Leeuw

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

კილომეტრში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის ძირითად ენერგეტიკულ ცენტრთან ბაქოსთან. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ასეთი სიახლოვე მხარეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ძალიან სახიფათო იქნებოდა. ამიტომ ნავტობის მოპოვებამ ჯერ ვოლგა-ურალის შემდეგ დასავლეთ ციმბირის დაბლობზე გადაინაცვლა. ბაქოს ნავთობის მნიშვენელობის დაკარგვასთან ერთად საქართველომაც დაკარგა სატრანზიტო ფუნქცია. თუმცა საბჭოთა კავშირიდან წამოსული ნავტობის ნაკადები შავი ზღვის სრუტეებით მაინც გადიოდა რუსული შავი ზღვის პორტ ნოვოროსიისკიდან.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის აღდგენა მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანის სახმელეთო და ძირითადად კასპიის ზღვის ფსკერზე განთავსებული რესურსები კვლავ საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოექცა.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს